შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№17 (10.025)

21-28 მაისი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დაირეკა ბოლო ზარი!...

სოფ. არხილოსკალოს საჯარო სკოლა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა. მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელის, ეთერ ზურიკაშვილის ინფორმაციით, წელს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებს 204 კურსდამთავრებული ჰყავს. სურათი უკვლელია –აკრიალებული სკოლის კედლები და კეთილი სურვილები თეთრ პერანგებზე...

სოციალური ქსელიც აჭრელდა მილოცვისა და დალოცვის ტექსტებით, ნაირ-ნაირი ფოტოებით. პირველი მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, სკოლის დირექცია, მშობლები თუ ოფიციალური პირები- ყველა ჩაბმული იყო ამ ფერხულში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ყველა დედოფლისწყაროელ მოზარდს მიულოცა ეს მნიშვნელოვანი ეტაპი და წარმატებები უსურვა მათ ცხოვრების მომავალ ასპარეზზე.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, საქართველოს სკოლებში დაირეკა ბოლო ზარი, მათ შორის დედოფლისწყაროშიც. ჩვენო ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გილოცავთ ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებას. მინდა, რომ უამრავი წარმატება და გამარჯვება გისურვოთ ცხოვრების გზაზე, ბედნიერი და ლამაზი სტუდენტობა! მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ვიქნებით თქვენი მხარდამჭერები და ვეცდებით, შევქმნათ შესაძლებლობები თქვენთვის, რათა მიაღწიოთ წარმატებებს და თქვენ, ჩვენი მომავალი თაობა იყოს შემდგარი, რეალიზებული და წარმატებული ადამიანების ერთიანობა. კიდევ ერთხელ გილოცავთ სკოლის დამთავრებას!

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის დირექცია ულოცავს კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრებას: „ჩვენო ძვირფასო მეთორმეტეკლასელებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას! მუდამ გამარჯვების გზებით გევლოთ. გისურვებთ, ყოველთვის იყოთ ლაღები, ღიმილიანები, ბედნიერები, წარმატებულები. თქვენ რეკორდი მოხსენით, წელს 50 კურსდამთავრებულიდან 16 ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატია. ეს კიდევ უპრო მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებთ, რადგან ეროვნული გამოცდების შედეგებსაც შესაბამისს ველით. გვჯერა, ბევრჯერ გაგვახარებთ მიღწეული წარმატებებით. უფალი გფარავდეთ!“.

სოფ. არბოშიკის საჯარო სკოლა

„სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის **სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა** ყველა კურსდამთავრებულს გილოცავთ სკოლის დამთავრებას! ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას, რომელმაც უნდა მოგცეთ ახალი გამოცდილებები, ურთიერთობები, მეგობრები, ცოდნა და განვითარების ახალი პერსპექტივები. მაინც ორიგინალურია თქვენი სკოლის კედლების დატოვება „ბოლო ზარი“, უხმაურო და მშვიდი. XII კლასის დამრიგებელი - ლალი ბერელაშვილი, I კლასის დამრიგებელი - ნანა წიკლაური. წარმატებებს გისურვებთ ამ გზაზე“. - ნათქვამია სკოლის განცხადებაში.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია უერთდება მილოცვებსა და კეთილ სურვილებს: ბედნიერ მომავალს გისურვებთ ყველას – ჯანმრთელ, მშვიდობიან და ეკონომიკურად გაძლიერებულ საქართველოში.

ინგა შიოლაშვილი

მეხორბლეები მთავრობას დარგის გადარჩენისთვის გეგმას სთავაზობენ

საქართველოში მოქმედმა წისქვილკომბინატებმა დახურვა გასული წლის შემოდგომიდან დაიწყეს. მათმა დიდმა ნაწილმა მუშაობა შეაჩერა, ერთეულები კი გაჩერების პირას არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების ფქვილი და ხორბლის გადამუშავების შედეგად მიღებული ცხოველების საკვები აღარ იქნება, კომბინატების გაჩერების შედეგად კი უმუშევრად ათასობით კაცი დარჩება. ამ საკითხების გადაჭრისა და დარგის გადარჩენის მიზნით, მეხორბლეთა და მთავრობის ეკონომიკური გუნდის სამინისტროებს შორის კომუნიკაცია კვლავ აქტიურ ფაზაში შედის - ამის შესახებ ინფორმაციას, როგორც ხორბლის და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადასტურებენ.

ფქვილის ადგილობრივი მწარმოებლების დახურვის მიზეზი რუსეთში ხორბლის იმპორტზე დაწესებული საექსპორტო ბაჟია, რომელიც ხორბლის საექსპორტო ფასს ზრდის და იმპორტიორებისთვის მის შემოტანას არარენტაბელურს ხდის. საპირისპირო მდგომარეობაა ფქვილთან მიმართებით, რუსეთში ფქვილის ექსპორტზე ნულოვანი ბაჟი მოქმედებს, რის გამოც ფქვილის ექსპორტი თითქმის 11-ჯერ არის გაზრდილი.

ხორბლის იმპორტიორები და ფქვილის მწარმოებლები აღნიშნულ საკითხზე გასული წლის სექტემბრიდან ეკონომიკის, სოფლის და ფინანსთა სამინისტროებთან აქტიურ კომუნიკაციაში იყვნენ. თებერვალში კი სახელმწიფო უწყებებს დარგის მდგომარეობიდან გამოყვანის გეგმაც წარუდგინეს. თუმცა, ამ გეგმის დეტალები მაშინ არ გასაჯაროვებულა და დარგის წარმომადგენლები შეთავაზების მხოლოდ ერთ პუნქტზე საუბრობდნენ. ეს პუნქტი ფქვილის იმპორტზე სარკისებრი გადასახადის დაწესებას გულისხმობდა. დღეს კი ცნობილი გახდა, რა წერია ეკონომიკური ბლოკისთვის რამდენიმე თვის წინ წარდგენილ 4-პუნქტიან გეგმაში:

- 2022 წლის 1 მარტიდან ამავე წლის 1 მაისამდე 1 ტონა ფქვილზე საიმპორტო მოსაკრებლის 280 ლარის დაწესებას;

- პურის გაძვირების თავიდან ასაცილებლად 2022 წლის 1 მაისამდე ადგილობრივი მწარმოებლების მიერ პურის ქარხნებისა და საცხობებისთვის თვეში 10 000 ტონა პირველი ხარისხის ფქვილის 70 ლარად მიწოდება;

- მეხორბლეთა ასოციაცია ქვეყანაში ხორბლის 2-თვიანი გარდამავალი მარაგის არსებობის ვალდებულებას იღებდა;

- ბაზარზე არსებული ცვლილებებიდან გამომდინარე 1 მაისამდე არსებულ მოსაკრებელში პროპორციულ ცვლილებებს.

მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში დარგის სუბსიდირების და სხვა ხელშემწყობი მექანიზმებისთვის საბიუჯეტო თანხები არ დაიხარჯებოდა, არამედ პირიქით, ბიუჯეტი საიმპორტო და წისქვილკომბინატების გადასახადებით შეივსებოდა; ამავე დროს წისქვილკომბინატები მუშაობას კონკურენტულ გარემოში შეძლებდნენ; არ გაიზრდებოდა პურის ფასი; შენარჩუნდებოდა სამუშაო ადგილები და უზრუნველყოფილი იქნებოდა სასურსათო უსაფრთხოება.

ხორბლის და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა გეგმის ამ სახით წარდგენას ადასტურებს, თუმცა აღნიშნავს, რომ თებერვალში ამაზე შეთანხმება ვერ შედგა. ***„მიმართვის ერთი პუნქტი პურის მწარმოებლებისთვის წისქვილკომბინატების მიერ 1 მაისამდე 1 ტომარა ფქვილის 70 ლარად მიწოდებას მოიცავდა, რაზეც, როგორც მაშინ სამინისტრომ გვითხრა, მეპურეებმა ხისტი პოზიცია დაიკავეს - ფქვილის მიწოდება 68 ლარად მოითხოვეს და ამტკიცებდნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პურის ფასს ვერ შეინარჩუნებდნენ. თუმცა, დღეს ვხედავთ, რომ თავად პურის მრეწველთა კავშირის ინფორმაციით, მაისში პური 10 თეთრით გაძვირდა. შესაბამისად, დარგის მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით ჩვენი პოზიციები მაშინ ვერ შეჯერდა“***, - აცხადებს ლევან სილაგავა.

კითხვაზე - დაიწყო თუ არა უკვე მეხორბლეებისა და წისქვილკომბინატების სამინისტროებთან კომუნიკაცია და სთავაზობს თუ არა ინდუსტრია მთავრობას იმავე გეგმას, რომელიც თებერვალში შესთავაზეს, ლევან სილაგავა ამბობს, რომ კომუნიკაციის პროცესი დაწყებულია:

„დღესაც ვთვლით, რომ ეს შეთავაზება ყველასათვის მისაღები იყო და წარმოქმნილ პრობლემას ყველაზე უმტკივნეულოდ გადაწყვეტდა, რადგან მასში გათვალისწინებულია როგორც ბიზნეს-სუბიექტების, ასევე მოსახლეობის და სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებიც. ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებს დღესაც ამ გეგმას ვთავაზობთ. ჩვენ არ გვაქვს ხისტი პოზიცია ამ გეგმის შესრულებასთან მიმართებით, მზად ვართ, მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად განვიხილოთ ეს საკითხი და დროულად მივიდეთ შედეგამდე. თუმცა,ეს მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა მოხდეს, რადგან გაჩერებულ წისქვილკომბინატებს მომზადება სჭირდებათ ხორბლის მოსავლის ახალი სეზონისთვის, რათა ხორბალი ჩაიბარონ და გადაამუშაონ. უნდა ვიცოდეთ, როგორ უნდა ვიმოქმედოთ. პროგნოზირებადი გარემო გვჭირდება. ცალსახად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი გეგმა არც მაშინ და არც ახლა არ ითვალისწინებს პურის ფასის გაძვირებას და ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას“, - განაცხადა სილაგავამ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ მეხორბლეებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის კომუნიკაციის პროცესი არ შეწყვეტილა და სამინისტროში მეხორბლეებისგან შეთავაზების კონკრეტულ ხედვას ელიან.

სამომხმარებლო ბაზარზე ხორცი QR კოდით განთავსდება

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და FAO-ს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის (NAITS) პროექტის მხარდაჭერით, სამომხმარებლო ბაზარზე ხორცი QR კოდით განთავსდება. ამასთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნული სააგენტო ქვეყნის მასშტაბით არსებულ სასაკლაოებს შესაბამისი ტექნიკურ აღჭურვილობას გადასცემს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის, ვასილ ბასილაძის განცხადებით, ბაზარზე ხორცის „QR“ კოდით განთავსება აპრობირებული პრაქტიკაა განვითარებულ ქვეყნებში და დღეიდან უკვე შესაძლებელია საქართველოშიც. „ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია მომხმარებლის ინტერესების დაცვისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით“, - განაცხადა ვასილ ბასილაძემ. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ბიზნესოპერატორების ცნობიერების ამაღლებისა და პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სასაკლაოების პერსონალს სწავლებები ჩაუტარდა. მათივე ცნობით, მოქმედი კანონმდებლობით, ხორცის ეტიკეტირება სავალდებულოა, თუმცა, ამასთან ერთად, ეტიკეტზე დატანილი იქნება „QR“ კოდი, რაც მომხმარებელს ან დაინტერესებულ პირს მისცემს საშუალებას, მობილური აპლიკაციის მეშვეობით მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ცხოველის შესახებ (ადგილწარმოშობა, ვიზუალური მონაცემები, დაკვლის თარიღი, სასაკლაო და ა.შ.) რომლისგანაც მიღებულია ხორცი.

ცნობისთვის, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, სურსათის ეროვნული სააგენტო 2012 წლიდან ახორციელებს ცხოველთა იდენტიფიკაციის პროცესს, ხოლო 2017 წლიდან, FAO-ს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა (NAITS) პროექტის მხარდაჭერით, მიმდინარეობს ცხოველთა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის და მონაცემთა ერთიანი ბაზის დანერგვა, რამაც ხელი შეუწყო აღრიცხვიანობის და მიკვლევადობის გაუმჯობესებას.

საპენსიო სესხის პროცენტის ზედა ზღვარი 1-ელი იანვრიდან 26%-მდე დაიწევს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ირაკლი ზარქუას ინფორმაციით, 2023 წლის 1-ელი იანვრიდან პენსიონერებისთვის საპენსიო სესხის პროცენტის ზედა ზღვარი 26% იქნება.

როგორც მან საქართველოს პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განმარტა, „ლიბერთი ბანკთან“ ხელშეკრულება 7 წლის ვადით გაფორმდება, რაშიც ხელისუფლება თანხას გადაიხდის და მოქნილი პირობები შენარჩუნდება. აღსანიშნავია, რომ საპენსიო სესხის პროცენტის შემცირება 2023 წლის იანვრამდე აღებულ სესხებზე არ გავრცელდება. ირაკლი ზარქუას თქმით, საპენსიო სესხის შემცირება კარგი შედეგია და ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ოპოზიციამ მმართველ პარტიასთან თანამშრომლობით და მუშაობით შედეგი დადოს.

„დღეს გვინდოდა პარლამენტის დარბაზიდან გვეთქვა ძალიან სასიხარულო ამბავი. ბოლო პერიოდში ძალიან აქტუალური იყო პენსიონერებისთვის მოქნილი პირობების შეთავაზება, ამასთან დაკავშირებით პირველი დღიდან ვიყავი ამ თემის ინიციატორი. შემდეგ შემოვიდნენ ალეკო ელისაშვილი და ლევან იოსელიანი, რომლებიც დაინტერესდნენ ამ თემით. ამ პერიოდის განმავლობაში შევძელით, რომ მთავრობის ინიციატივით შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელშიც შედიოდნენ მინისტრები დეპუტატები და ბანკის წარმომადგენლები. მომავალი წლის პირველი იანვრიდან ჩვენს პენსიონერებს „ლიბერთი ბანკი“ მოემსახურება გაუმჯობესებული პირობებით - თანხის უფასო შეტანა-გამოტანით, კომუნალურების გადახდით და რაც მთავარია, საპენსიო სესხების ზედა პროცენტი იქნება 26%. ეს არის ჩვენი მთავარი შედეგი, რისთვისაც დავიწყეთ ეს ინიციატივა, მანამდე 35-36%-ში იღებდნენ, ახლა კი მაქსიმუმი ზედა ზღვარი 26% იქნება. მგონია, რომ ეს არის კარგი შედეგი და მაგალითი როგორ შეიძლება ოპოზიციამ მმართველ პარტიასთან თანამშრომლობით და მუშაობით კარგი შედეგი დადოს. „ლიბერთი ბანკთან“ ხელშეკრულება 7 წლის ვადით გაფორმდება, რაშიც ხელისუფლება გადაიხდის თანხას და ეს მოქნილი პირობები იქნება შენარჩუნებული“, - აღნიშნა ირაკლი ზარქუამ. პროექტის ერთ-ერთი თანაავტორის, პარტია „მოქალაქეების“ ლიდერის ალეკო ელისაშვილის განცხადებით კი, ეს იყო მეორე შემთხვევა საარჩევნო რეფორმის შემდეგ, როდესაც ოპოზიციასა და მმართველ გუნდს „საერთო ძალისხმევით რაღაც გამოუვიდათ“.

„საერთო ძალისხმევით შევძელით, რომ ბანკი აღარ გაძარცვავს პენსიონერებს 36-40%-ში. მაქსიმალური იქნება 26%, რაც თავიდანვე, სატენდერო პირობაში ჩადებული ზღვარი იყო. თუ პირველ იანვრამდე მოითმენენ ჩვენი პენსიონერები ძალიან კარგი იქნება, ეს უკვე აღებულ სესხებზე არ გავრცელდება, მაგრამ გავრცელდება იმ სესხებზე, რომელსაც პირველი იანვრიდან აიღებენ“, - აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

ორ თვეში საქართველოში 364 რუსული და ბელარუსული ბიზნესი დარეგისტრირდა

ორ თვეში საქართველოში 364 რუსული და ბელარუსული ბიზნესი დარეგისტრირდა. კერძოდ, „საქსტატის“ ინფორმაციით, მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში, ქვეყანაში სულ 364 რუსული და ბელარუსული სუბიექტია დარეგისტრირებული, საიდანაც 256 რუსული, ხოლო 108 ბელარუსული კომპანიაა.

რაც შეეხება საერთო მაჩვენებელს, ამ დროისთვის ქვეყანაში უკვე რეგისტრირებულია 6205 რუსული და ბელარუსული სუბიექტი, აქედან 5670 რუსული, 432 ბელარუსული კომპანიაა.

ამასთან, აქტიურია 1502 რუსულ-ბელარუსული სუბიექტი, საიდანაც 1408 რუსული, ხოლო 94 ბელარუსული კომპანიაა.

ცნობისთვის, დასავლეთის მიერ სანქცირებულთა სიაში რუსულთან ერთად, ბელარუსული კომპანიებიც არიან.

ტრადიციების შენარჩუნების საუკეთესო გზა დასავლეთთან ინტეგრაციაა

საქართველოში ინფორმაციის სანდოობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მომზადებული კვლევის თანახმად, გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ტრადიციების შენარჩუნების საუკეთესო გზა დასავლეთთან ინტეგრაციაა.

კითხვაზე, ორი მოსაზრებიდან რომელი მათგანი გამოხატავს უკეთესად თქვენს ხედვას, შედეგები ასე გადანაწილდა:

- დასავლეთთან ინტეგრაცია ხელს შეუწყობს საქართველოს კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას – 45%;
- ქართული ტრადიციები უფრო მეტად გადარჩება, თუ საქართველო დაუკავშირდება რუსეთს და არა აშშ-სა და ევროკავშირს – 20%;
- არცერთს არ ვეთანხმები – 25%;
- არ ვიცი/უარი – 10% .

ამასთან, მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ დასავლეთი საუკეთესო პარტნიორია საქართველოსთვის. კითხვაზე, „ბევრი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, რომ საქართველოს ორიენტირი ევროკავშირი და შეერთებული შტატები უნდა იყოს თუ რუსეთი? გთხოვთ მითხრათ, რომელი მათგანი გამოხატავს უკეთესად თქვენს ხედვას?“ - შედეგები ასე გადანაწილდა:

*დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სხვა საკითხების შესახებ საერთო ღირებულებების გამო, საქართველოსთვის საუკეთესო პარტნიორები ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირია – 53%;

*საერთო ღირებულებებისა და რელიგიის გამო, რუსეთი საქართველოსთვის უფრო ბუნებრივი მოკავშირეა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი – 20%;

*არცერთს არ ვეთანხმები – 15%;

*არ ვიცი/უარი – 11%.

გამოკითხულთა 72% ევროკაშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს, 13% ეწინააღმდეგება, 8% ფიქრობს, რომ სულერთია, ხოლო 7% საკუთარ აზრს არ აფიქსირებს.

მასალა მომზადებულია პროექტის — საქართველოში ინფორმაციის სანდოობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. გამოკითხვას Zinc Network-ის დაკვეთითა და USAID-ის ფინანსური დახმარებით CRRC საქართველო ახორციელებს. კვლევაში გამოთქმული შეხედულებები შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის ან აშშ მთავრობის შეხედულებებს. CRRC საქართველომ ჩაატარა 3 024 პირისპირ ინტერვიუ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (მეთოდოლოგია: CAPI, გამოპასუხება: 33%). გამოკითხვა განხორციელდა 2021 წლის 16 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე, შესაბამისად, შედეგები ასახავს საზოგადოებრივ განწყობებს უკრაინაში ომამდე.

გამოკითხვის შედეგები წარმომადგენლობითია საქართველოს მთლიანი მოსახლეობისთვის, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. ასევე, წარმომადგენლობითია ცალკეულად თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის და ეთნიკური უმცირესობებისთვის. ცდომილების საშუალო ზღვარი: +/-1.7% (იცვლება სხვადასხვა კითხვის მიხედვით). ზოგ შემთხვევაში, პასუხების ჯამი შესაძლოა არ იყოს 100%, დამრგვალების გამო. „უარი პასუხზე“ არცერთ შემთხვევაში აღემატება 1%ს, ამიტომ მოხდა „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ დაჯამება.

კახეთის რეგიონს ზედიზედ მეოთხედ „სუფთა რეგიონის“ სტატუსი მიენიჭა

მიმდინარე წლის 13 მაისს, თბილისის საკრებულოს დარბაზში პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, კონკურსის „სუფთა რეგიონი“ დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა. „სუფთა რეგიონის” კონკურსზე, ზედიზედ მეოთხედ კახეთს „სუფთა რეგიონი“-ს სტატუსი მიენიჭა. ამავე კონკურსის ფარგლებში, ნომინაციაში „სუფთა ქალაქი“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა, ხოლო ნომინაციაში, „სუფთა ქუჩა“ ახმეტის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა.

18 მაისს, ქ. თელავში, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) „ვიზიტ კახეთი“ მხარდაჭერით „სუფთა რეგიონის“ აღნიშვნის ღონისძიება მასშტაბურად ჩატარდა.

ირაკლი შიოშვილმა და კახეთის მუნიციპალიტეტების მერებმა მოწვეულ რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურების წარმომადგენლებს „სუფთა რეგიონის“ სტატუსი პირადად მიულოცეს, წარმომადგენლებს მადლობის სიგელები, ხოლო მეეზოვე ქალბატონებს თაიგულები გადასცეს.

„ქ. თბილისში, „სუფთა რეგიონის“ დაჯილდოების ღონისძიებაზე მე პირობა დავდე, რომ ამ ჯილდოს თქვენთან ერთად გავიზიარებდი, რადგან თითოეული თქვენგანის დამსახურებაა კახეთისთვის „სუფთა რეგიონის“ სტატუსის მინიჭება ზედიზედ მეოთხედ. ეს ჯილდო ეკუთვნის თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც გულმოდგინედ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას და ზრუნავს ჩვენს რეგიონში ჯანსაღი, სუფთა გარემოს შექმნაზე.

მოდის ტურისტული სეზონი და კახეთი მოწოდების სიმაღლეზე დახვდება რეგიონში ჩამოსულ ვიზიტორებს. სუფთა რეგიონის სტატუსი კი ჩვენთვის დიდი მოტივაციაა, რომ რეგიონი ყოველწლიურად კიდევ უფრო სუფთა და მიმზიდველი გავხადოთ. მადლობას ვუხდი თითოეულ მეეზოვეს, რომელიც ჩვენი რეგიონის სისუფთავის შენარჩუნებისთვის ერთგულად ასრულებს თავის საქმეს“ - აღნიშნა ირაკლი შიოშვილმა.

ევროკავშირის და UNDP-ის სოფლის განვითარების პროგრამა სოფლად მეწარმეობის განვითარებისთვის

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ინდმეწარმემ, ზაქარია იაკობიშვილმა, სოფლის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ავეჯის მცირე საწარმოს მოდერნიზება მოახდინა, რისთვისაც 29,000 ლარი საგრანტო დაფინანსება მიიღო. შედეგად, საწარმოში წარმოების ზრდასთან ერთად დასაქმებულთა რაოდენობაც გაიზარდა.

ავეჯის საწარმოში მიმდინარე სამუშაო პროცესი სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების მართვისა და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის უფროსმა, თორნიკე კაპანაძემ და გაეროს განვითარების პროგრამის სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში კოორდინატორმა, გიორგი ციმინტიამ დაათვალიერეს.

„ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს მიმართულების პროგრამას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გაცემულია 6 მლნ ლარი თანადაფინანსება. დაფინანსდა 60-მდე ბენეფიციარი“, - განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების მართვისა და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის უფროსმა, თორნიკე კაპანაძემ.

გაეროს განვითარების პროგრამის „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ კოორდინატორ გიორგი ციმინტიას განცხადებით, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივის ფარგლებში, მრავალი წელია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესის დაფინანსების პროგრამა საქართველოს მთავრობასთან პარტნიორობით ხორციელდება. პროგრამის ბიუჯეტი 9 მლნ ლარს შეადგენს.

სოფლის განვითარების პროგრამა ქედას, ხულოს, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ხორციელდება.

სოფლის განვითარების პროგრამას სოფლის განვითარების სააგენტო (RDA) ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში ახორციელებს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა გრძელდება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთათვის ე.წ. აგრობარათების პროგრამა კვლავ ამოქმედდა. პროგრამის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების გზით აგროპროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა. პროგრამის განმახორციელებელია სოფლის განვითარების სააგენტო, მის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პროგრამის პირობებით სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება:

****თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია 0.25 ჰა-დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მოცულობა, ყოველ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე გადაანგარიშებით განისაზღვრება 300 ლარით (ქულით);***

****თუ მიწის ნაკვეთები ბენეფიციარების თანასაკუთრებაშია 0.25 ჰა-დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით, თითეულ ასეთ მიწის ნაკვეთზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 300 ლარით(ქულით) ყოველ 1 ჰა გადაანგარიშებით***

****იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარ(ებ)ს მიწის ნაკვეთები გააჩნია, როგორც საკუთრებაში, ასევე თანასაკუთრებაში, სუბსიდიის თანხის დაანგარიშებისას არ იქნება გათვალისწინებული საკუთრებაში და თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ფართობების ჯამი და ასეთი ბენეფიციარები სუბსიდიის თანხას მიიღებენ ცალ-ცალკე.***

თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის შემთხვევაში, სუბსიდია გაიცემა ერთ-ერთ თანამესაკუთრეზე, რომელიც ბანკში წარადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობის დოკუმენტს, რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია ან ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილ თანხმობის დოკუმენტს, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმდგენი თანამესაკუთრე და რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია.

პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

1.სუბსიდიის მისაღებად პოტენციურ ბენეფიციარს 2022 წლის 20 აპრილისთვის საკუთრებაში ან/და თანასაკუთრებაში უნდა გააჩნდეს მიწის ნაკვეთ(ებ)ი ჯამური ფართით არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 1.25 ჰა ან/და არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით, განახორციელოს მიწის ნაკვეთ(ებ)ის პირველადი რეგისტრაცია ან ინფორმაციის იმ სახით დაზუსტება, რომლითაც იდენტიფიცირებადი გახდება, აკმაყოფილებს თუ არა პირი პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებს.

2.პროგრამის ბენეფიციარი, სუბსიდიის მიღების შემთხვევაში, ვალდებულია დარეგისტრირდეს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია:

*ბენეფიციარებზე წინა წელს გაცემული აგრობარათები კვლავაც აქტიურია, ქულების დასარიცხად და ახალი ბარათების ასაღებად უნდა მიმართონ სს „ლიბერთი ბანკს“, ახალ ბარათებს ბანკი ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს.

*სს „ლიბერთი ბანკი“-ის მიერ ქულების დარიცხვა ხდება ეტაპობრივად, დარიცხული ქულების შესამოწმებლად ფერმერი უნდა დაუკავშირდეს ბანკს ცხელ ხაზზე (032 2 555 500) ან გადაამოწმოს ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://myliberty.ge/?id=agro

6.ბარათზე დარიცხული ქულებით 0.25 ჰა და 1.25 ჰა-მდე მიწის ფართობის მფლობელებს/თანამესაკუთრეებს სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეეძლებათ შეისყიდონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონელი.

შენიშვნა: პროგრამაში მონაწილეობას არ მიიღებს მიწის ნაკვეთი თუ საჯარო რეესტრის ამონაწერში უძრავ ქონებას მინიჭებული აქვს სათიბი ან/და საძოვრის კატეგორია.

„მუზეუმს ეს შეუძლია“...

მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) ინიციატივით, მუზეუმის საერთაშორისო დღე 1977 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება. ამ დღის მიზანია საზოგადოების განვითარებაში მუზეუმის როლის გაცნობიერება. „მუზეუმების ძალა“ განხილულია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის წარმოქმნისა და შენარჩუნების შესაძლებლობა, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და ამ გზით განვითარებისთვის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო რესურსების მეშვეობით საზოგადოების დაინტერესების, ინფორმირებისა და მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.

მუზეუმების კვირეული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც გაიხსნა, რომელიც სამი დღე გაგრძელდება და მოიცავს როგორც მხარეთმოცოდნეობის, ასევე ხალხთა მეგობრობის მუზეუმებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული დედოფლისწაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა სამეცნიერო კონფერენციით 18 მაისს გახსნა. **კონფერენციის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებას მუზეუმის დირექტორმა** ლალი ბურასპაულმა მიმართა: **„წლევანდელი მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის სლოგანია „მუზეუმს ეს შეუძლია“. რა შეუძლია ჩვენს მუზეუმს? ჩვენს მუზეუმს შეუძლია საზოგადოებას აჩვენოს ის, რაც საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა იღვაწა, იშრომა, შექმნა. რა შეუძლია მუზეუმს? მუზეუმს შეუძლია წარმოგიდგინოთ ის უდიდესი და უნიკალური ისტორიული მასალა, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი და გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ამაზე მეტყველებს აღმოჩენილ ადამიანთა ჩონჩხები, რომელთაც შუბის წვერი მკრედში აქვთ დარჩენილი. რა შეუძლია მუზეუმს? მუზეუმს შეუძლია გვიჩვენოს ის თავდადება, რომელიც ხონაბუჯის ციხის მცველებმა გამოიჩინეს, მისი მტრისგან დაცვის დროს. რა შეუძლია მუზეუმს? მუზეუმს შეუძლია იმ დიდი სიყვარულის ჩვენება, რომელიც ლეგენდებმა შემოინახა. უღრმესი მადლობა მუზეუმში დასაქმებულ თითოეულ ქალბატონს, ყველას ვინც დიდი რუდუნებით, უპრეტენზიოდ, ჩუმად, წყნარად აკეთებს საშვილიშვილო საქმეს. ჯანმრთელობა მოგცეთ ღმერთმა, რომ განაგრძოთ თქვენი საქმე“.**

ამავე მუზეუმის სპეციალისტმა, დალი ბაღაშვილმა წარადგინა საკონფერენციო თემა სახელწოდებით „თავგადასავალი კობა ჩოხელისა“: **„მინდა ჩემს კოლეგებს მივულოცო მუზეუმების საერთაშორისო დღე. გისურვოთ წარმატებები შრომით საქმიანობაში. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, მინდა გამოგზაუროთ დაახლოებით ერთი საუკუნის უკან, გავხსნა ისტორიის სკივრი და წარმოგიდგინოთ კობა ჩოხელის შესახებ ჩემს მიერ მოძიებული საინტერესო სამეცნიერო მასალა. ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, თუკი გვეცოდინება მისი ისტორია, როგორც ადამიანის, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი იყო მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში და რომელსაც არამხოლოდ ჩვენთან, მთელს საქართველოში იცნობდნენ. ეს არის ადამიანი, რომლის თავზეც „წისქვილის ქვა არ დატრიალებულა“, თორემ იმდენი ჭირვარამი გამოუვლია, იმდენი ბობოქარი დღეები გადაუყრია, ადამიანი კი არა, ქვა ვერ გაუძლებდა.“ მან გაიხსენა კობა ჩოხელის ბიოგრაფია, მის მიერ ზემო ქედში ჩამოსვლისა და დასახლების ეპიზოდები, თუ როგორ დაარსა მაშინ ჯერ კიდევ მიწურებში მცხოვრები ხალხით კობა ჩოხელმა კომუნა, გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება. მან ასევე განიხილა კომუნის შიდა წესდება, მისი მოქმედების არეალი და ფართობი, კობა ჩოხელის მუშაობის სტილი და მანერა. ის, თუ როგორ ზრუნავდა მის მფარველობაში მყოფ ხალხსა და გაერთიანებაზე. „კონსტანტინე ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, სიღარიბესა და მოჯამაგირეობაში დაელია ჩოხელს თავისი ახალგაზრდობა, მაგრამ მისი ცისფერი თვალები მაინც ისევე კეთილად იცქირებოდნენ, თითქოს ქვეყანაზე კარგის მეტი არაფერი უნახავთო“-** აღნიშნა მოხსენების ბოლოს დალი ბაღაშვილმა.

ლალი ბასილაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ერთი ნივთის ისტორია წარუდგინა, რომელსაც სამწუხაროდ თავისი აქტუალურობა დაკარგული აქვს და გაქრობის პირასაა მისული. მან ტიკზე, როგორც საღვინე ჭურჭელზე ისაუბრა. მის რაობაზე ხალხური გამოცანაც მეტყველებს: „ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ ᲒᲐᲚᲐᲮᲡᲐ ᲫᲝᲕᲡ, ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲝᲡᲐ ᲡᲕᲐᲛᲡ“. ლალი ბასილაშვილმა აღნიშნა, რომ ტიკი მხარეთმოცდნეობის მუზეუმის ექსპონატთა შორის ერთ-ერთი უძველესია. მან ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ჩვენმა ცნობილმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა თავის „ნატურმორტზე“ სწორედ ტრადიციული ტიკი გამოხატა. ლალი ბასილაშვილმა ისაუბრა ტიკის დანიშნულებაზე, რომელსაც ღვინის გადატანის გარდა, წყლის ჭურჭლადაც იყენებდნენ. გასაკვირია, მაგრამ ტიკმა მედიცინაშიც ჰპოვა გამოყენება. მაგალითად, თუ ადამიანი ლავიწის ძვალს მოიტეხავდა, დაჩუტულ ტიკს იღლიაში ამოუდებდნენ, ნელ-ნელა გაბერავდნენ. ასეთი საშუალებით ხელს უმტკივნეულოდ ააწევინებდნენ. გვერდზე ტიკს მიაკრავდნენ და ასე ამყოფებდნენ, ვიდრე მოტეხილი ძვლები თავის ადგილს არ დაიჭერდა და არ შეხორცდებოდა. ტიკს მწოლიარე ავადმყოფებისთვისაც იყენებდნენ თავის უმტკივნეულოდ ასაწევ-დასაწევად. თავის გამოსვლაში ლალი ბასილაშვილმა ტიკის რთულ ტექნოლოგიურ დამუშავებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ **„რიგიანად დამზადებული და კარგად მოვლილი ტიკის ღირსება ის იყო, რომ ღვინის მოკლებისას ის თანდათან იკუმშებოდა და ღვინო მასში ცოტაც რომ დარჩენილიყო, მაინც არ ძმარდებოდა. ტიკი დღეისათვის იშვიათობაა. ამ მსუბუქმა და მარჯვედ მოსახმარმა, მაგრამ ადვილად დასაზიანებელმა ჭურჭელმა, თანდათანობით ადგილი დაუთმო ხის კასრს. ეს საღვინე ჭურჭელი გაქრობის პირასაა. სასურველია და, ალბათ, აუცილებელი, რომ მომავალი თაობებისთვის სამუზეუმოდ მაინც შემოვინახოთ ჩვენი წინაპრების ეს მეტად გონივრული ნაკეთობა“-** აღნიშნა მან.

მუზეუმების საერთაშორისო კვირეულის გახსნას, **კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი** ილია მარტყოფლიშვილიც ესწრებოდა: **„მოგილოცავთ პროფესიულ დღეს. თქვენ და მუნიციპალური გაზეთი ხართ ის ორგანიზაციები, რომლებიც ისტორიას იკვლევენ, ისტორიულ ფაქტებსა და მასალებს თაობებს გადასცემენ. სხვა ამ კუთხით ნაკლებად მუშაობს და სწორედ ამიტომ, ძალიან ფასეულია ეს ჩანაწერები, მოგონებები, იმ ადამიანების ღვაწლი, რომლებმაც ააშენეს, განავითარეს, ხელი შეუწყვეს და ჩვენი ისტორიის პირველი ეტაპები შექმნეს. მადლობა ამ ისტორიის შემონახვისთვის. მინდა უფრო მეტად საინტერესო სამუზეუმო კვირეულები გისურვოთ, უფრო მასშტაბური. იმედი გვაქვს, რომ მუშაობის ჩვეულ ფორმას დავუბრუნდებით, ისეთს როგორიც გვეკადრება და შეგვიძლია კიდეც. მადლობა ყველაფრისათვის“.**

კვირეულის გახსნას დედოფლისწყაროს საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მანანა ყატაშვილი, **დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელი: „გილოცავთ მუზეუმების საერთაშორისო დღეს. ძალიან მიყვარს თქვენი მუზეუმი. ჩემი პირველი სამსახურის დაწყების დღიდან, რომელიც კულტურას უკავშირდებოდა, თქვენი გულშემატკივარი ვარ. ყოველთვის მიხარია აქ მოსვლა, რადგან ვიცი, რომ თქვენგან ძალიან ბევრი რამის გაგება და სწავლა შეიძლება. ერთი სურვილი მაქვს, რომლის შესრულებასაც, ვფიქრობ, არ სჭირდება დიდი რესურსი. აქ მთავარია სურვილი და მონდომება. ვგულისხმობ ყველა ამ საკონფერენციო მასალის გაციფრულებას, რომელიც მუზეუმს მეტ ცნობადობასა და მნახველთა მაღალ რიცხვს მოუტანს". „სამომავლოდ, შესაძლებელია ამ ინფორმაციების ერთ ბროშურისა თუ მცირე ზომის წიგნად გაერთიანება, რის შემდეგაც ჩვენ თამამად შეგვეძლება ჩვენი უნიკალური ისტორიის გაცნობა ტურისტებისთვის. ეს უიშვიათესი მასალაა, რომელსაც ყველგან ვერ ნახავთ. ეს იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი როგორც მუზეუმის, ასევე მთლიანად მუნიციპალიტეტის განვითარების გზაზე. თქვენ გარდა ქიზიყის ისტორიის შესწავლაზე ასე აქტიურად არავინ მუშაობს. თუკი იარსებებს ამ მასალების ელექტრონული ვერსია, ძალიან ბევრი რამ გაგიადვილდებათ. თუნდაც მისი სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდვა, საერთაშორისო დონეზე ჩვენი ისტორიის გატანა, გაზეთში გამოქვეყნება და ა.შ. თქვენ ხართ ჩვენი სავიზიტო ბარათი, ამიტომ, ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით თქვენს დახმარებას. თქვენს გვერდით გვიგულეთ“- ეს ინიციატივა შპს "შირაქის" ხელმძღვანელმა ინგა შიოლაშვილმა გააჟღერა.**

***

სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში სამუზეუმო კვირეული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების, ნაქსოვების, ნაქარგებისა და ნახატების გამოფენა-გაყიდვით გაიხსნა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა მუზეუმის თანამშრომლებს ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობის სიგელები გადასცა და პროფესიული დღე მიულოცა.

ქეთევან მჭედლიშვილი, **ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი: „მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩვენმა მუზეუმმა გააკეთა რამდენიმე გამოფენა. გვაქვს სკოლის მოსწავლე ქეთევან ზურაშვილის ნახატების გამოფენა, არის ასევე სხვადასხვა ავტორების მიერ შექმნილი ხევსურული ნაქარგებისა და ხელნაკეთი სამკაულების გამოფენა. ზოგი გაყიდვაშია, ზოგს კი ავტორი თავად იტოვებს. ეს გამოფენები კვირეულის განმავლობაში იქნება ჩვენს მუზეუმში. გარდა ამისა, ჩვენ სათემო საქმიანობასაც ვეწევით, რომელშიც შედის სხვადასხვა ხელსაქმის წრეები: ქარგვა, ქსოვა, კერვა. სურვილის შემთხვევაში, ჩართვა ყველას შეუძლია. მომავალში შეგვიძლია ამ ნამუშევრების გამოფენებიც გავაკეთოთ. აქამდე თითქოს მოდუნებული იყო სოფელი და ინტერესიც ნაკლები იყო, მაგრამ ახლა ინტერესმა მოიმატა, ვაწყობთ როგორც მცირე საერთო, ასევე პერსონალურ გამოფენებსაც. 17 ეროვნების წარმომადგენელი იყრიდა სოფელ ხორნაბუჯში თავს წინათ. დღეს სხვადასხვა ეროვნების ადამიანები საკმაოდ მეგობრულ გარემოში ცხოვრობენ და სწორედ აქედან ეწოდა ჩვენს მუზეუმსაც ხალხთა მეგობრობის მუზეუმი. ვცდილობთ, ეს ტრადიცია შევინარჩუნოთ.“**

ილია მარტყოფლიშვილი: **„სოფელ ხორნაბუჯში არ გვაქვს კულტურის სახლი და მთელი კულტურული დატვირთვა ხალხთა მეგობრობის მუზეუმზე მოდის, მაგრამ ამ ტვირთს ღირსეულად ატარებენ აქ დასაქმებული ადამიანები. ეს შენობა ისტორიულ ფასეულობებს ინახავს და საკმაოდ დიდ ისტორიას აცნობს მოსულ სტუმარს. გარდა ამისა, ითავსებს ისეთ საინტერესო აქტივობებს, როგორიც დღეს დღეობითაა წარმოდგენილი. მიხარია, რომ ასეთი გამოფენით იხსნება ჩვენი სამუზეუმო კვირეული ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. საკმაოდ ორიგინალური ნახატები და ხელნაკეთი ნივთებია წარმოდგენილი. ასაკის მიუხედავად ძალიან კარგად არის შესრულებული თითოეული მათგანი. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი წვლილი შეიტანა და შეაქვს მუზეუმის საქმიანობაში. გისურვებთ უფრო ნაყოფიერ მუშაობას მომავალში. რადგან პროფესიული დღეა, კულტურის ცენტრს სურს თავისი ყურადღება გამოხატოს თქვენს მიმართ, ვინც ამ შენობის „დიასახლისები“ ხართ და სიმბოლურად მადლობის სიგელები გადმოგცეთ ყველა იმ საქმისთვის, რაც ამ შენობაში გიკეთებიათ და იმ ღვაწლისთვის რაც არამარტო სოფლისთვის, არამედ მუნიციპალიტეტის წინაშე მიგიძღვით“.**

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს მუზეუმების თითოეულ წარმომადგენელს პროფესიულ დღესასწაულს, უსურვებს მათ მშვიდობას, კეთილდღეობასა და უამრავ დამთვალიერებელს, რომლებიც ისეთივე ინტერესითა და მონდომებით გააცნობენ საკუთარ ქვეყნებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიას, როგორც ამას თავად მუზეუმელები აკეთებენ უკვე მრავალი წელია. ფაქტი კი, რომ მუზეუმს აქვს ძალა და რესურსი დაიცვას, განავითაროს და შემოუნახოს ისტორია მომავალ თაობებს, ფაქტად რჩება, რომელიც უნდა მივილოთ, და გავაცნობიეროთ. მხარი დავუჭიროთ მუზეუმებს არამარტო საკუთარი რეგიონის, არამედ ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო პროცესებშიც.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

... და ციმციმებდა თაფლის სანთელი

პანდემია მინელდა, ცოტა შვებით ამოვისუნთქეთ, თუმცა, ორ წელზე მეტია, სრულიად დედამიწამ უმძიმესი პერიოდი გადაიტანა-პანდემიამ მოიცვა ყველა და ყველაფერი, შიშმა და ტკივილმა დათრგუნა ადამიანი.

კოვიდ-19-მა, თავისი რამდენიმე მუტაციური ტალღით, შეცვალა ცხოვრება: ჩაკვდა კულტურა, სპორტი, განათლება, ეკონომიკა დაინგრა, დისტანციურმა ურთიერთობებმა ერთმანეთს დააშორა ოჯახები, სანათესაო, სამეზობლო, სამეგობრო... 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა საქართველოში პირველი კოვოდინფიცირებული, დიდი ძალისხმევის მიუხედავად დადგა ლეტალური შედეგები... დაგვტოვეს ადამიანებმა, რომლებიც ჩვენი სულის და სისხლის ნაწილი იყვნენ, გული დაგვწყვიტეს, დიდი ტკივილი მოგვაყენეს და მხოლოდ მოგონებებად დარჩნენ ჩვენს მეხსიერებაში... და რადგან არსებობს სამყაროში კანონზომიერება, რომ, რასაც აქვს დასაწყისი, ყველაფერს აქვს დასასრული, კოვიდმაც „თავისი დრო მოჭამა“ და მწარე მოგონებად დარჩა. სწორედ ამ მწარე მოგონებებს და იმ ადამიანების ხსოვნას მიეძღვნა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარებული ღონისძიება,

რომლის იდეის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ დედოფლისწყაროს მწერალთა და მწიგნობართა ასოციაციები, ვინც კოვიდმა და პოსტკოვიდურმა გართულებებმა შეიწირა. ხსოვნის საღამო გახსნა დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნანა ჭიჭინაძემ. მან დამსწრეთ გააცნო გზავნილი თბილისიდან: „ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, დიდი მადლობა რეზო ამაშუკელის გახსენებისთვის. გიხდით ბოდიშს, რომ ვერ მოვახერხეთ დაპირების შესრულება და ვერ ჩამოვედით, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა! შვილი ბაია, შვილიშვილი რეზო (უმცროსი) ამაშუკელები.“ ღონისძიებას უძღვებოდა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარე, ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ნატროშვილი: „მართალია ამ შეხვედრის იდეა ქალბატონ ნანას ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ მხარი მაშინვე ავუბით, რადგან სამართლიანად ჩავთვალეთ, რომ ჯერ კიდევ ცხელ გულზე, გავიხსენოთ ის ძვირფასი ადამიანები, ვინც პანდემიამ წაგვართვა, ვინც ჩვენს გვერდით ცხოვრობდა და შრომობდა, ვისაც ბევრი გეგმა და ოცნება დარჩა განსახორციელებელი, ვინც თავისი არსებობით წარუშლელი კვალი დაამჩნია ჩვენს ცხოვრებას. სამარადისო ხსოვნა შესანიშნავ, უნიჭიერეს პოეტს და დიდ ქართველს რეზო ამაშუკელს, ჩვენს უსაყვარლეს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მეუფე დიმიტრის, დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მესანთლეს არონ იაკობიშვილს, კულტურის დარგის ამაგდარ ქალბატონს ნელი გობეჯიშვილს, ათეული წლები რაიონის საფინანსო სამსახურის ერთგულ მუშაკს იზა ბაიდოშვილს, ნელი ღვინიაშვილს, პერსპექტიულ ახალგაზრდას კოტე ლოლაშვილს, ბუნების დიდ ქომაგს დათო ბოსტოღანაშვილს, სიმონ ჯამასპიშვილს, ღვაწლმოსილ პედაგოგს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს ცისანა მჭედლიშვილს, და მრავალ სხვას, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან ჩვენ ვეხმიანებით არა მხოლოდ ჩვენი რაიონის, არამედ სრულიად საქართველოს ტკივილს.

ღონისძიების მონაწილენი და დამსწრე საზოგადოება დალოცა დეკანოზმა ნიკოლოზმა: „უამრავი ტკივილი და მწუხარება მოგვიტანა ამ სასტიკმა ვირუსმა. დავკარგეთ ბევრი ძვირფასი ადამიანი. უმძიმესია ჩვენთვის მეუფე დიმიტრის ამქვეყნიდან გასვლა, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო არა მარტო ჩვენთვის, დედოფლისწყაროელებისთვის, ის დააკლდა საქართველოს საპატრიარქოს, სინოდს, სრულიად საქრისტიანოსაც. ჩვენ ვუერთდებით ოჯახის მწუხარებას ჩვენი ძვირფასი თანამშრომლის არონის დაკარგვის გამო. ყველას ვუთანაგრძნობ და ვლოცულობ, რათა მათი სულები უფალმა დაამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ“.

რეზო ამაშუკელზე, როგორც ერთ-ერთ ბრწყინვალე პოეტსა და შემოქმედზე, ისაუბრა დედოფლისწყაროს სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა ნუნუ ცაკაშვილმა: „მთელი ჩემი სტუდენტობა და ახალგაზრდობა ბატონი რეზოს შემოქმედებასთან ერთად გავატარე. სულმოუთქმელად ველოდით ყოველ მის ახალ ლექსს. არავითარ მოვლენას, რომელიც ქვეყნის ცხოვრებაში ხდებოდა, არ ტოვებდა უკომენტაროდ, ჭირისუფლის პოზიციიდან ისმოდა მისი წრფელი, ძარღვიანი, ხანდახან მჭახე ხმა, არ ერიდებოდა არავითარ რეგალიებს, სიმართლეს ხმამაღლა ამბობდა, მისი პატრიოტული მგზნებარება გადამდები იყო და პირდაპირობის, სამართლიანობის, სამშობლოს სიყვარულის და ერთგულების, ერისკაცობის და შეუპოვრობის მაგალითს გვაძლევდა. მართალია, მის ცოცხალ სიტყვას უკვე ვეღარ მოვისმინეთ, მაგრამ დაგვიტოვა თავისი შემოქმედება-ლექსები, წერილები, რომლებშიც ყოველგვარი პირფერობის გარეშე ამბობდა ერის სათქმელს. არდავიწყება მის სახელს. მე თანავუგრძნობ ყველა იმ ოჯახს, რომელმაც პანდემიის დროს საყვარელი ადამიანები დაკარგა. ნათელი მათ სულებს“.

-ადამიანი მისი ღირებულებით ფასდება, ბატონი რეზო ამაშუკელი კი ის კაცი იყო, რომელსაც ჩვენი ეროვნული ტრადიციების დაკარგვა და უგულებელყოფა აწუხებდა და ხმამაღლა ამბობდა თავის სათქმელს,- თქვა თავის გამოსვლაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა.

ნანული ნატროშვილი, დედოფლისწყაროს მერიის უფროსი სპეციალისტი: „დღეს აქ ის საზოგადოება შევიკრიბეთ, ვინც შეყვარებული ვართ ბატონი რეზოს შემოქმედებაზე, ნიჭიერ პოეტსა და მამულიშვილზე. ის მტრისთვის ამოღებული ხმალი იყო და მალამო კეთილისმსურველთათვის, ხმამაღლა ამბობდა ხალხის სათქმელს. დასანანია, რომ ბატონმა რეზომ კოვიდისშემგომი სირთულეები ვერ დაძლია, წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა ერთი მართალი, გულმხურვალე პატრიოტის სახელი“.

დედოფლისწყაროს მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის თამარ თამაზაშვილის გამოსვლა



P.S.

სავსე იყო ტკივილითა და მწუხარებით ყველა იმ ადამიანის დაკარგვის გამო, ვინც ამ ვერაგმა ვირუსმა შეიწირა: „ძნელია, გამოარჩიო, იმდენი და ისეთი ადამიანები წავიდნენ ლიტერატურიდან, პოეზიიდან, მსახიობებიდან, საზოგადო მოღვაწეებიდან ... გაუსაძლისია ჩვენი უსაყვარლესი მეუფის გარეშე ჩვენი ყოფნა. ის მხოლოდ მრევლმა კი არა, სრულიად დედოფლისწყაროს მოსახლეობამ შეიყვარა და ძმასავით დაიტირა ცხარე ცრემლებით. ჩვენ ყოველდღე ვლოცულობთ მათი სულებისთვის“.

ცრემლმა თვალები დაუნამა, გული ყელში მოებჯინა და მწუხარებისაგან სათქმელი ვეღარ ამოთქვა მეუფე დიმიტრის დამ, დედა სერაფიმამ: „ჩემთვის ძალიან ძნელია მასზე საუბარი, მიმძიმსო“ - ძლივსღა თქვა ორიოდ სიტყვა.

-მე, ზოგადად, პოეზიის დიდი მოყვარული ვარ, მათ შორის რეზო ამაშუკელის შემოქმედებისა, ჩვენ მისი სახით დავკარგეთ დიდი პოეტი, ერისკაცი, მართალი კაცი... ხსოვნა და არდავიწყება ყველას, ვინც ჩვენგან წავიდა და გულის ნაწილი თან გაიყოლა,-თქვა თავის გამოსვლაში ქალბატონმა ლენა ღარიბაშვილმა.

- ჩვეული ოსტატობით და მომხიბვლელობით წაიკითხა რეზო ამაშუკელის ლექსები პოეზიის დიდმა ქომაგმა და მშვენიერმა დეკლამატორმა ლელა ბიღიაშვილმა: „პოეზია ჩემი სულის ნაწილია, მადლობელი ვარ მამაჩემის, ამირან ბიღიაშვილის, რომელმაც მაზიარა ლექსის მადლსა და ძალას. პოეტის სიცოცხლე მის ლექსებში გრძელდება და თუ ჩვენ ამ ლექსებს ვისწავლით, ვასწავლით ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, ამით უკვდავყოფთ მათ“.

მამის პატივის მიგებისა და ხსოვნისათვის მადლობა გადაიხადა არონ იაკობიშვილის შვილმა ნინო იაკობიშვილმა.

საღამოზე ჩვენგან წასული პოეტებიც გაიხსენეს: ვენერა ნატროშვილი, რომელმაც ერთადერთმა გალექსა სახარება, ზაურ გონაშვილი, კირითხურო, ჩვენი ეკლესიების ამშენებელი და მშვენიერი ლექსების ავტორი, ზურაბ ცისკარაული, ახლადშესვენებული სიღნაღელი პოეტი თენგიზ ბეჟაშვილი და სხვები.

მათი სულების საოხად გუნდმა, ნინო ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა საგალობლები, ხოლო მომღერალმა გაიოზ ხუციშვილმა დამსწრეთ რეზო ამაშუკელის ლექსზე დაწერილი სიმღერა „მე ვარ თამადა“ უმღერა.

საღამოს ლაიტმოტივად გასდევდა პოეტების თამარ ნასრაშვილის და თამაზ წიკლაურის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტის ნინო პოპიაშვილის მიერ მხატვრულად წაკითხული რეზო ამაშუკელის, ზაურ გონაშვილის, ზურაბ ცისკარაულის და თენგიზ ბეჟაშვილის ლექსები. ღონისძიება შეაჯამა და ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა მერის მოადგილემ დავით ფხოველიშვილმა: „დროული და საჭირო საღამო ჩატარდა, ჩვენ გავითავისეთ და გავიზიარეთ ერთმანეთის ჭირი და კვნესა, რაც ასე მნიშვნელოვანია“-თქვა მან.

ღონიძიების ავტორებს, ორგანიზატორებს და სპონსორებს სამახსოვროდ გადაეცათ რეზო ამაშუკელის ერთტომეული.

... და ციმციმებდა თაფლის სანთელი, დარბაზის შუაგულში მათი სულების საოხად და უკვადვსაყოფად.

ქვემოთ გთავაზობთ რეზო ამაშუკელის რამდენიმე ლექსს.

ნაირა გორაშვილი

* * *

მე პოლნისის ლომეგს ვთლიდი

მიწა მაქვს და
მიწა მქონდა-
დარი მამალ ხოხბის ფრთისა,
მოუვრის მსასოებელი და
დამზაფვრელი მოშურნისა!
მაღლივ ღმერთი არ მაკლებდა
შუბლზე მირონცხებულ ნიშანს,
რკინას ვჭედდი, ვაშენებდი
საუდარსა და სანთლის ნიშას.
მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი
სულს ჩემივე ჩუქურთმისას,
ვაზის ჯვარზე
ხხივს ვახვევდი
კაბადოკიელის თმისას,
საწნახელში ბიჭი იდგა
ვადას ჩაფრენილი ხმლისას,
აკვნიდან რომ არ ენახა
მშვიდად დაღამება დღისა.
იქით ვეშაპს ხმალს ვუქნევდი,
აქეთ დიდოს,ლეკს და ხიზანს,
წიგნიც დაწვეს,ვაზიც ჩეხეს,
მაინც ვერ ეწიენ მიზანს.
ზოგჯერ ჩემგან ჯვარწერილი
მეზობელიც ამემრიზა,
-შინაურმა თუ არ დამკლა
მე მომხვდური ვერას მიზამს!
მე ჩემი მაქვს მოსავლელი
თვალი არ გამირბის ხხვისას,
წვეთ-წვეთად და მისხალ-მისხალ
მიწა მეფე თამარისა!
ვინც შეირგებს ჩემს ზედაშეს,-
ჩოხას მივუბოძებ ძმისას,
ვინც არა და ნუ მიიჩნევს
თავს ამ ცა-ფირუზის ღირსად!
ადარც ხონთქრის მეშინია
არც შაჰის და უაენისა,
ხატზე ბევრჯერ გადავეცი
ვინც მამული გაასხვისა!
ადორძინებულო მზვარევ,
მხარევ, გაბადრული მზისა
ილოცვიდე დედაენას
ჩინს საკუთარ თვალებისას,
ზეპირობდე რვალზე წერილს
სამუდამო ჰარაკლისად-
-„მე ვარ ავი მუსაიფი
კახთ ბატონის ირაკლისა!“

1987 წლის 9 აპრილი

* * *

შუაფხო

გ.ბ-ს

ხატობას ავეღ შუაფხოს
მზე ზანზალაკად მეკიდა!...
შუაფხოელი შუახნის
წამოიწია თქიდა.
წამოაქცია კურატი,
გამოუღადრა კისერი,
ატუდა ღრეობა-ბურადი-
კაცი არ დარჩა ფხიზელი.
ლუდით და ჟიპიტაურით
გამტეკრალი ხალხი ეეარა
და ხერხემალში ხმაურით
შემოდიოდა ქვეყანა!...
ვიჯექი, ჯვარი მეწერა,
მშვიდი, მწყარზარი სახითა,
რომ მერე ლექსად მეწერა,
რასაც დღე გულზე მახლიდა.
მზემ რომ მოხვრიპა ზედაშე,
ხატს უხმოდ გამოვესალმე...
და საღამომდე მე და შენ
ვკრიფეთ ცისფერი კესანე.
მოვედი, ხელი მოგხვიე,
გულზე ჰერანგი მოგხიე...
მთვარე, მე, შენ და არაგვი
მთვრალი ვიეაკით ოთხივე...

1988 წლის 5 მარტი.

გაიღე სისხლი უანგაროდ, გაუზიარე სიცოცხლე სხვას!

სისხლის ჩაბარება მარტივია, თან ძალიან საჭირო. კლინიკებს მუდმივად და ყოველდღიურად სჭირდებათ სხვადასხვა ჯგუფის სისხლი, რისი შევსების საუკეთესო გზა სწორედ მოხალისეობრივი დონაციაა.

ისტორია

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ სისხლის გამოშვება მრავალ დაავადებას შველოდა. საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ, ამოეხსნათ სისხლის მაგია, მაგრამ სისხლის გადასხმა პირველად 1662 წელს ჩატარდა საფრანგეთში. დღეს ეს წარმოუდგენელი მოგვეჩვენება, მაგრამ მეფე ლუი XIV-ის ექიმმა ცხვრის სისხლი გადაუსხა 15 წლის ყმაწვილს. მოგვიანებით, 1818 წელს, ბრიტანელმა ფიზიოლოგმა ჯეიმს ბლანდელმა პირველად განახორციელა ადამიანის სისხლის ტრანსფუზია - პაციენტს, რომელსაც შინაგანი სისხლდენა ჰქონდა, რამდენიმე ადამიანის სისხლი გადაუსხა. პაციენტი გარდაიცვალა. მიზეზს ვერავინ მიხვდა... ტრანსფუზიოლოგიაში გადატრიალება მოახდინა ავსტრიელმა მეცნიერმა კარლ ლანდშტაინერმა, რომელმაც 1901 წელს სისხლის ჯგუფები აღმოაჩინა და დაადგინა, რომ სისხლის გადასხმა სწორედ ჯგუფის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. სისხლის შენახვა პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყეს, სისხლის კომპონენტების ტრანსფუზია კი მეორე მსოფლიო ომის წლებში უკვე აქტიურად გამოიყენებოდა.

საქართველოში სისხლის პირველი ბანკი 1932 წელს შეიქმნა და მან საქართველოს პირველ სისხლის გადასხმის სადგურში დაიდო ბინა. მოგვიანებით, 1935 წელს, სადგურის ბაზაზე ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი აკადემიკოსი გრიგოლ მუხაძე იყო.

მსოფლიო სტატისტიკა

გამოთვლილია, რომ ადამიანების 85%-ს 75 წლამდე ერთხელ მაინც სჭირდება სისხლის გადასხმა. არ არსებობს ხელოვნური ხსნარი, რომელიც ადამიანს სისხლის მაგივრობას გაუწევს. ადამიანების სიცოცხლე ისევ ადამიანებზეა დამოკიდებული. ვნახოთ, რამდენად აქტიურია მსოფლიო საზოგადოება ამ კუთხით და რა ვითარებაა საქართველოში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 108 მილიონი დონაცია ტარდება. მათი ნახევარზე მეტი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მსოფლიოს 168 ქვეყანაში 100 000-მდე სისხლის ბანკი ფუნქციობს, ხოლო 60 ქვეყანაში, როგორც ირკვევა, დონორობა სრულიად უანგაროა. განვითარებად ქვეყნებში ასიდან 65-ზე მეტ შემთხვევაში სისხლს 5 წლამდე ასაკის ბავშვებს უსხამენ, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამ მანიპულაციის 75%-ზე მეტი 65 წელს გადაცილებულებთან ხორციელდება.

აშშ-ის წითელი ჯვრის მონაცემებით, ამერიკაში ყოველწლიურად 15,7 მილიონი დონაცია ტარდება. დონორთა ბაზაში 9,2 მილიონი კაცია რეგისტრირებული. როგორც ირკვევა, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ყველაზე აქტიური დონორები 25-დან 44 წლამდე ასაკის პირები არიან, ხოლო განვითარებად ქვეყნებში — 18-დან 24 წლამდე ასაკისა.

ცვლილებები საქართველოში...

ანაზღაურების მიღების მიზნით, მოქალაქეები სისხლის ჩაბარებას სავარაუდოდ, ველარ შეძლებენ. აღნიშნულის მიზნით, კანონში ცვლილებები იგეგმება, რის შედეგადაც 2025 წლიდან სისხლის ჩაბარება ნებაყოფლობითი ხდება, ანაზღაურების გარეშე. როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **თამარ გაბუნია** განმარტავს, მცირე ზომის სისხლის ბანკების რეორგანიზაციის შედეგად ქვეყანაში მხოლოდ 3 სისხლის დაწესებულება იფუნქციონირებს. რეგულირების სააგენტოში კი სპეციალური ერთეული, ქვედანაყოფი ჩამოყალიბდება, რომელიც სისხლის პროდუქტების მოძრაობაზე კონტროლს და მათი ტესტირების პროცესების მონიტორინგს უზრუნველყოფს.

ამასთან, როგორც თამარ გაბუნია აღნიშნავს, დონორებისთვის გათვალისწინებული იქნება საპატიო წოდების მინიჭება, ასევე ერთჯერადი ფულადი წახალისება. **„კანონპროექტი, რომელიც პარლამენტის მიერ განიხილება, სისხლის სისტემის რეფორმას ითვალისწინებს. მოქმედი კანონი მიღებულია 1995 წელს და თანამედროვე სისტემის მოწყობის ბევრი ასპექტი გაუთვალისწინებელია, ამიტომ, ევროდირექტივების შესაბამისიც არ არის. ჩვენი მიზანია, სისხლის სისტემა ისე იყოს მოწყობილი, რომ შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ევროდირექტივებს. ამ მიმართულებით მუშაობა 2 თვის წინ დაიწყო, ლიეტუვა და ნიდერლანდების სამეფოს ექსპერტები მუშაობდნენ ჩვენს ექსპერტებთან ერთად. ჩვენს შემთხვევაში სისტემა მეტად დატვირთულია, ვიდრე ეს საერთაშორისო სტანდარტებით არის გათვალისწინებული. საქართველოში 24 სისხლის ბანკი ფუნქციონირებს, მაშინ როდესაც ლიეტუვას 3 სისხლის დაწესებულება აქვს, სადაც სისხლის პროდუქტის სრული ციკლი მზადდება. ნიდერლანდების სამეფოს კი სულ ერთი აქვს. კანონპროექტის მიზანია ცენტრალიზებული სისტემის შექმნა, რომელსაც ხელშეწყობა ექნება ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. ასევე, გათვალისწინებულია ეროვნულ დონეზე რეგულირების სააგენტოში, სპეციალური ერთეულის, ქვედანაყოფის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის პროდუქტების მოძრაობაზე კონტროლს, მათი ტესტირების პროცესების მონიტორინგს. დღესაც ხორციელდება მონიტორინგი 4 ინფექციის მიმართულებით, რაც სავალდებულო მოთხოვნაა და რჩება. ევროდირექტივების და საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, უანგარო დონაცია თავიდან აგვაცილებს სისხლის უსაფრთხოების რისკებს, ამდენად კანონპროექტი ორიენტირებულია უანგარო დონაციაზე, იმგვარად, რომ 2025 წლის პირველი იანვრიდან ჩვენ სრულად უნდა გადავიდეთ უანგარო დონაციაზე. დღევანდელი მონაცემებით, თუ წელიწადში საშუალოდ 95 ათასამდე დონაცია ტარდება, აქედან უანგარო 41% შემთხვევებშია, 42% ანაზღაურებადია, 16 % კი ნათესაურია. ახალი კანონის თანახმად, ეს სისტემა უნდა გადავიდეს უანგარო დონაციაზე. დონორებისთვის გათვალისწინებულია საპატიო წოდების მინიჭება, შესაძლოა იყოს ერთჯერადი ფულადი წახალისება, თუმცა, არ იქნება კომერციული ელემენტები. იქნება დონორობის სტატუსის პრომოცია, საგანმანათლებლო კამპანია სკოლებიდან დაწყებული. დონორის სტატუსი აღირებული და დაფასებული უნდა იყოს“**, - აღნიშნავს გაბუნია.

მისივე ინფორმაციით, ახალი კანონპროექტის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებებში დარჩება სისხლის ბანკი, სადაც მომზადებული სისხლი მივა, შეინახავენ იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც სჭირდება დაწესებულებას. „სისხლის დაწესებულება, რომელიც აწარმოებს სისხლს, არ უნდა იყოს სამზე მეტი, რაც ჩვენი ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე საკმარისია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები ცალსახად მიუთითებს, რომ სისხლის სისტემა, სისხლის მწარმოებელი დაწესებულებები უნდა იყოს არაკომერციული, არასამეწარმეო პირის მიერ ჩამოყალიბებული. აქედან 3 სისხლის დაწესებულების აქტივობას როდესაც ვუშვებთ, ერთი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული, ორი კი შეიძლება იყოს კერძო სუბიექტი, თუმცა, მაინც არასამეწარმეო და არაკომერციული უნდა იყოს, არ უნდა იყოს მოგებაზე ორიენტირებული. რა თქმა უნდა, გარდამავალი პერიოდი გათვალისწინებულია. 2024 წლის პირველი იანვრიდან არის ნავარაუდევი არასამეწარმეო-არაკომერციული პირის სტატუსის სისხლის დაწესებულების ჩამოყალიბება, ან არსებულების რეორგანიზაცია. 2025 წლის პირველი იანვრიდან უნდა ამოქმედდეს ცენტრალიზებული მოდელი, რაც დაფუძნებული იქნება 3 სისხლის დაწესებულებაზე. სამედიცინო დაწესებულებებში უნდა დარჩეს სისხლის ბანკი. სისხლის ბანკი ის დაწესებულებაა, სადაც სისხლის პროდუქტი ინახება, ასევე სისხლის ბანკში შესაძლებელია სისხლის აღება, რათა ეს სისხლი გადაიგზავნოს იმ დაწესებულებაში, სადაც დაამზადებენ შემდგომი გამოყენებისთვის. თუ ვსაუბრობთ, მხოლოდ სისხლის ბანკებზე, კანონის ახალი ვერსია გვთავაზობს ორი ტიპის დაწესებულებას. პირველი დაწესებულება იქნება სისხლის, რომელიც მთავარი ადგილია, აქ ხდება სისხლის პროდუქტების დამუშავება, ტესტირება, ტრანსპორტირებისთვის მომზადება. მეორე ადგილია სისხლის ბანკი სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მომზადებული სისხლი მივა. შეინახავენ იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც სჭირდება დაწესებულებას”,- აღნიშნავს თამარ გაბუნია. ამასთან, თამარ გაბუნია დასძენს, რომ, ის სამედიცინო პერსონალი, რომელიც სისხლის ბანკებში მუშაობდა, დასაქმდება სამედიცინო დაწესებულებებში განთავსებულ სისხლის ბანკში. **„მცირე ზომის ბანკების რეორგანიზაციის შედეგად მარტივად აიღებს თავის თავზე ამ ფუნქციას დიდი ზომის და კარგად გამართული სისხლის ბანკები. რაც შეეხება იმ პერსონალს, რომელიც მუშაობს არსებულ სისხლის ბანკში, ეს ადამიანები აუცილებლად დასაქმდებიან სისხლის ბანკებში, რომელიც გამსხვილებული სახით შეიქმნება. დამხმარე პერსონალს შეეძლება იმუშაონ სამედიცინო დაწესებულების სისხლის ბანკში, რომელიც არ უზრუნველყოფს სისხლის დამზადებას, მაგრამ უზრუნველყოფს, სისხლის შენახვას, გადასხმისთვის მომზადებას და ასე შემდეგ”**,- აღნიშნავს გაბუნია.

სისხლის დონორად ვარგისიანობის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, თქვენ შეგიძლიათ სისხლის ჩაბარება, თუკი:

- **თქვენი ასაკი 18-დან 60 წლამდეა;**
- **თქვენი წონა 55 კგ-ზე მეტია;**
- **თქვენი ჰემოგლობინი ნორმის ფარგლებშია;**
- **თქვენ არ ხართ დაავადებული სისხლის გზით გადამდები ინფექციებით (აივ ინფექცია, ვირუსული ჰეპატიტები, სიფილისი, მალარია).**

სისხლის ჩაბარება არ შეგიძლიათ, თუკი:

- **გაქვთ ან გქონდათ მაღალი ტემპერატურა გასული კვირის განმავლობაში;**
- **მკურნალობთ ანტიბიოტიკებით, ან სხვა მედიკამენტებით;**
- **გაქვთ გულსისხლძარღვთა დაავადებები, ეპილეფსია, დიაბეტი, თირკმელების ან ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, ვენერიული დაავადებები.**
- **უკანასკნელი დონაციის დროს დაკარგეთ გონება;**
- **რეგულარულად მკურნალობდით სისხლის პროდუქტებით;**
- **იყენებდით საერთო შპრიცს მედიკამენტის ვენაში შეყვანისთვის/მოიხმარდით ნარკოტიკს;**

სისხლის გაღების მსურველთა ასაკი 18-დან 60 წლამდე განისაზღვრება. დონორი არ უნდა იყოს B და C ჰეპატიტის ვირუსის მატარებელი, სტომატოლოგთან ვიზიტიდან უნდა იყოს გასული 2-3 თვე, თუ აქვს ტატუ, უნდა იყოს გასული ერთი წელი გაკეთებიდან, სისხლის აღება არ შეიძლება ორსულისთვის და მეძუძური დედისთვის. დონორს ბოლო 1 წლის განმავლობაში არ უნდა ქონდეს გაკეთებული ქირურგიული ოპერაცია, არ უნდა ქონდეს მენსტრუალური ციკლი (დამთავრებული უნდა იყოს 3-4 დღის და არ უნდა იწყებოდეს 3-4 დღეში) არ უნდა იყოს აცრილი ბოლო 2 თვის განმავლობაში, ასევე არ უნდა ჰქონდეს მიღებული ალკოჰოლი ბოლო 24 საათის განმავლობაში, დონორის წონა უნდა იყოს 55 კგ-ზე მეტი ქალბატონები, 65კგ-ს ზემოთ მამაკაცები, ასევე დონორი უნდა იყოს ნასაუზმევი და თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სისხლის გაღების შემგომ ერთი საათის განმავლობაში თამბაქოს მოხმარება აკრძალულია, განმეორებითი დონაცია შესაძლებელია 2 თვის შემდეგ.

მიუხედავად ამისა პიროვნებისაგან სისხლის გაღება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ექიმის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შემდგომ.

თუ ამ პირობებს აკმაყოფილებ და სისხლის ჩაბარება გადაწყვიტე, ეს რეკომენდაციები გამოგადგება.

კარგად დაისვენე

სისხლის გაცემით, შენი ორგანიზმი ენერგიის ნაწილს დაკარგავს, ამიტომ აუცილებელია წინა დღეს კარგად დაისვენო.

იკვებე ჯანსაღად

სისხლის ჩაბარებამდე არ მიიღო ცხიმიანი საკვები, რადგან ქოლესტერინი ასქელებს სისხლს, რაც გადასხმისა და ტესტირების პროცესს გაართულებს. ასევე კარგია, თუ შენი ორგანიზმი რკინის მარაგით მომზადებული შეხვდება ამ პროცედურას, რადგან სისხლთან ერთად შენი ორგანიზმი რკინასაც დაკარგავს, რომელიც სხეულში არსებული მარაგებიდან უნდა აღდგეს.

დალიე ბევრი სითხე (ალკოჰოლის გარდა)

სისხლი დიდი ოდენობით წყალს შეაცავს, იმისთვის, რომ შენი სხეულის დეჰიდრატაცია არ მოხდეს, ბევრი სითხე მიიღე. დღიურ ნორმაზე მინიმუმ ნახევარი ლიტრით მეტი.

როგორ მოვიქცეთ სისხლის ჩაბარების შემდეგ?

სისხლის ჩაბარების შემდეგ შესაძლოა გქონდეს სისუსტის, დაღლილობისა და თავბრუს ხვევის შეგრძნება. ეს ბუნებრივია, რადგან შენმა ორგანიზმმა მნიშვნელოვანი დოზით ენერგია, სითხე და მინერალები დაკარგა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება აღდგენა. ამისთვის:

- **მიიღეთ კიდევ უფრო მეტი სითხე.**
- **ჭამეთ, ტკბილეული, ჩირი, ხილი და ბოსტნეული.**
- **დონაციის შემდეგ მოერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.**

2021 წლის მონაცემებით უანგარო დონორი გახდა 37,320, ნათესაური დონორი 14,559, ხოლო ანაზღაურებადი დონორი კი 38,630 ადამიანი (საქართველოში გასული წლების მონაცემებით ანაზღაურება შეადგენდა 30-40 ლარს).

საქართველოში, სტატისტიკის მიხედვით, სისხლის გადასხმა სჭირდება წელიწადში 10-15 ათას ადამიანს. გაიღე სისხლი უანგაროდ, გახდი გმირი, გაუზიარე სიცოცხლე სხვას!

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„ჩვენ გვახსოვს, ჩვენ ვმოქმედებთ, ჩვენ ვცხოვრობთ აივ-თან ერთად“

15 მაისს მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნები შიდსით გარდაცვლილთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. აღნიშნულ თარიღს საქართველოში უკვე 26 წელია აღნიშნავენ და სხვადასხვა აქტივობით მიაგებენ შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნას პატივს.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ცნობით, მიმდინარე წელს ექიმი-ეპიდემიოლოგები ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის ხელმძღვანელობა მოწვეულ სტუმრებსა და მედიის წარმომადგენლებს საქართველოში არსებულ ეპიდ-ვითარების სტატისტიკის შესახებ მიაწვდიან ინფორმაციას.

მათივე ცნობით, დამსწრე საზოგადოება საჰაერო ბუშტებზე გამოსახავენ წითელ ე.წ. „რიბონს“ (შიდსის ლოგოტიპი წითელი ბაფთა) და ჰაერში გაუშვებენ. ასევე, დეკორატიულ სანთლებს აანთებენ და გამოსახავენ იმავე „რიბონს“.

„ჩვენ გვახსოვს, ჩვენ ვმოქმედებთ, ჩვენ ვცხოვრობთ აივ-თან ერთად“ 2022 წელს მსოფლიოში ამ დევიზით აღინიშნება შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღე, რომელიც მოგვიწოდებს, არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ დაღუპულთა მოგონებებით, არამედ მნივნელოვანია საზოგადოების ყველა ფენა აქტიურად ჩაებას მოქმედებაში აივ/შიდსის პროფილაქტიკის, მკურნალობის და შიდსთან ასოცირებული სხვა პრობლემების გადასაწყვეტად.

დღეს აივ-თან ერთად თითქმის 38 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, შიდსით გარდაცვლილთა საერთაშორისო დღე წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას გლობალური სოლიდარობისთვის; არღვევს სტიგმისა და დისკრიმინაციის ბარიერებს და აძლევს ჯანმრთელი მომავლის იმედს ახალ თაობებს.

საქართველოში, უკანასკნელ წლებში, აღინიშნება აივ/შიდსით ავადმყოფების სიკვდილობის შემცირება, რაც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული არვ თერაპიით მათი მოცვის გაუმჯობესებასთან, მკურნალობის და მოვლის პროგრამების ეფექტურ მუშაობასთან. შიდსით გამოწვეული სიკვდილობა ჩვენს ქვეყანაში ძირითადად განპირობებულია აივ გვიანი დიაგნოსტიკით”,- აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

Human Rights Watch – რუსმა ჯარისკაცებმა ჩრდილოეთ უკრაინაში მშვიდობიანი მოქალაქეები აწამეს და სიკვდილით დასაჯეს

Human Rights Watch-ის განცხადებით, ორგანიზაციამ კიევისა და ჩერნიგოვის ოლქებში სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები დააფიქსირა. Human Rights Watch-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც უკრაინას აპრილსა და მაისში ეწვივნენ, „გამოიძიეს სიკვდილით დასჯის 22, სხვა უკანონო მკვლელობის 9, გაუჩინარების 6 და წამების 7 ფაქტი“. „სავარაუდო დანაშაულები ჩადენილია თებერვალსა და მარტში რუსი ჯარიკაცების მიერ, რადგან ისინი აკონტროლებდნენ ტერიტორიის დიდ ნაწილს“,- აცხადებენ ორგანიზაციაში. მათივე ცნობით, უკრაინაში ყოფნის დროს, 10 აპრილიდან 10 მაისამდე პერიოდში, 65 ადამიანი გამოიკითხეს, მათ შორის 66 წლის ანასტასია კიევის ოლქიდან, რომელმაც განაცხადა, რომ რუსი ჯარისკაცების მიერ სიკვდილით დასჯილი შვილის ცხედარი სარდაფში იპოვა. Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორის, გიორგი გოგიას განცხადებით, რუსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტები სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ. „მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ეს ძალადობა აშკარა ომის დანაშაულია, რომელიც სასწრაფოდ და მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოძიებული და დამნაშავეები სათანადოდ დასჯილი“, - განაცხადა გოგიამ.

გიგა ოთხოზორიას მკვლელობიდან 6 წელი შესრულდა

გიგა ოთხოზორიას მკვლელობიდან 6 წელი შესრულდა. მის საფლავზე დღეს ოჯახის წევრები და ახლობლები იმყოფებოდნენ. გიგა ოთხოზორიას დედის ჯულიეტა ჭანტურიას განცხადებით, ამ დრომდე გადაუჭრელია მისი შვილის მკვლელის დაკავების საკითხი. „ექვსი წლის თავზეც იგივეს ვამბობ, რასაც პირველ დღეებში. მიუხედავად იმისა, რომ გასამართლებულია ჩემი შვილის მკვლელი, მისი დაკავების ამბავი ჯერ კიდევ გადაუჭრელია და ამ ექვსი წლის მანძილზე მიწევს ერთი და იგივეს თქმა, ამიტომ ერთს ვისურვებდი მშვიდობა ჩვენს ქვეყანას, მშვიდობა მსოფლიოს, მშვიდობა უკრაინელ, ვაჟკაც ხალხს და გვეთქვას ჩვენ ყველას, ბიჭები ტყუილად არ წირავენ თავიანთ სიცოცხლეს. უფლის ნებით, ალბათ, ყველაფერი გადაიჭრება. რამდენად გადაიჭრება ჩემი შვილის მკვლელის ამბავი არ ვიცი, მაგრამ მე მინდა, რომ უკვალოდ არ ჩაიაროს მისმა სიკვდილმა. იმიტომ, რომ ჩემს შვილს თავისი ქვეყანა უყვარდა, ყოველთვის ფიქრობდა, რომ აფხაზეთში დაბრუნდებოდა და თავის შვილებს იქ გაზრდიდა. ის ამას ვერ მოესწრო”,- განაცხადა ჯულიეტა ჭანტურიამ.

გიგა ოთხოზორიას საფლაოზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, თეა ახვლედიანი, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად იმყოფებოდა. ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილი, 30 წლის გიგა ოთხოზორია, 2016 წლის 19 მაისს საოკუპაციო ხაზთან, ხურჩა-ნაბაკევის ე.წ. გამშვებ პუნქტთან მოკლეს. საქართველოს პროკურატურამ, ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტზე, დამნაშავედ ცნო აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. სასაზღვრო სამსახურის თანამშრომელი რაშიდ კანჯი-ოღლი. სასამართლომ მას 2017 წელს, დაუსწრებლად მიუსაჯა 14 წლით პატიმრობა. ის ამ დრომდე არ არის დაკავებული.

10 რამ, რაც კორონავირუსის პანდემიამ გვასწავლა

ორი წლის წინ, ალბათ, ვერც წარმოვიდგენდით, რომ თავს გლობალურ პანდემიაში ამოვყოფდით, ვითარებაში, რომელმაც სამყაროში ყველაფერი შეცვალა. დარწმუნებული ვართ, კარგად გახსოვს შიშისა და გაურკვევლობის განცდა, ყოველ დილით კორონავირუსის ახალი სტატისტიკის მოლოდინი, პირბადეს ამოფარებული ადამიანები, ცარიელი ქუჩები, იზოლაცია, რიგები მაღაზიებსა და აფთიაქებთან. შეზღუდვები, შეზღუდვები და კიდევ შეზღუდვები.

პანდემიასთან ერთად შეიცვალა ჩვენი ცხოვრებაც – ოფისები და სასწავლებლები ოთახებმა, უცხოეთში მოგზაურობა სახლის მიმდებარედ სეირნობამ, კონცერტები და კლუბები კი ტელეფონში საყვარელმა მუსიკამ და ყურსასმენებმა ჩაანაცვლა. მიუხედავად უამრავი ნეგატივისა, პანდემიამ ბევრი რამ გვასწავლა და სამყარო სულ სხვა თვალით დაგვანახა. ამ სტატიაში იმ 10 რამის შესახებ გიამბობთ, რაც ბოლო 2 წელში ვისწავლეთ და სამომავლოდ აუცილებლად გამოგვადგება.

1. მისალმებისას კოცნა/ჩახუტება/ხელის ჩამორთმევა სულაც არ არის აუცილებელი

კორონავირუსის გავრცელებამდე, ალბათ, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ადამიანებს შორიდან, პირბადიდან გავუღიმებდით. პანდემიამ გვასწავლა, რომ გულითადი მისალმება კოცნით ან/და ჩახუტებითა არ გამოიხატება – მუშტების ან იდაყვების მირტყმა, ხელის აწევა და დისტანციურად დგომაც მშვენიერი გამოსავალია. მეტიც, როდესაც პანდემია დასრულდება, გადაკოცნის ჩვევა საერთოდაც გავაქროთ ჩვენი ყოველდღიურობიდან. თუ მაინც და მაინც, შეგვიძლია გაწვდილი მუშტით შემოვიფარგლოთ.

2. ვაქცინა ნამდვილად მუშაობს

მართალია, არიან ადამიანები, რომლებიც ამას ეჭვქვეშ აყენებენ და მითებითა და დეზინფორმაციით ებრძვიან, თუმცა ფაქტია, რომ ვაქცინა ეფექტურია! გახსოვს პანდემიის დასაწყისში, როცა ვაქცინის შესაქმნელად მუშაობა დაიწყეს, როგორ ნერვიულობდი? ფიქრობდი, შეძლებდნენ თუ არა მეცნიერები საჭირო ვაქცინის შექმნას, რამდენად ეფექტური და უსაფრთხო იქნებოდა ის. ყოველდღიურად ეძებდი სიახლეებს და ბოლოს დადგა ბედნიერი დღეც, როცა ვაქცინების ავტორიზაცია დაიწყო. მაშინ მივხვდით, რომ პანდემიის დასასრულის დასაწყისი მოვიდა და კორონავირუსი ვეღარ დაგვამარცხებდა. სამწუხაროდ, ყველას რეალობა ასეთი არ ყოფილა. საზოგადოების ნაწილის ყოველდღიური სიახლეები დაჩიპვაზე და უშვილობაზე შიშებს უკავშირდებოდა. დეზინფორმატორები და ანტივაქსერები მათ ყალბი ცნობებით ამარაგებდნენ და ახლაც ცდილობენ დაარწმუნონ, რომ ვაქცინა უშედეგოა. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ მხარდაჭერილი კვლევით გამოვლინდა, რომ შეთქმულების თეორიებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს COVID-19-ის ვაქცინაციის პროცესზე ახალგაზრდებში. სანდრო წყაროები, ჩვენივე ახლობლების შედეგები და პანდემიის დასუსტება გვაჩვენებს, რომ ვაქცინამ იმუშავა და მეცნიერებამ იმედი არ გაგვიცრუა. აუცილებელია, რომ ეს ცოდნა ყველას გავუზიაროთ.

3. ბევრ რამეზე ნერვიულობა არ ღირს

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემა მოგვიტანა, ბევრიც გააქრო ჩვენი ცხოვრებიდან. მივხვდით, რომ ზოგიერთი რამ, რაც პრობლემას გვიქმნიდა, გაუფასურდა. პანდემიამ მიგვახვედრა ხანდახან სჯობს, რიგ საკითხებს მარტივადაც შევხედოთ, რადგან უფრო სერიოზული პრობლემებიც არსებობს – ბოლოს და ბოლოს, უკვე ვიცით, როგორია გლობალურ პანდემიაში ცხოვრება.

4. ქორწილის გადახდა „ვიწრო წრეშიც“ შეიძლება

ამ ორი წლის მანძილზე ბევრი შეზღუდვა გამოვიარეთ. ალბათ, კარგად გახსოვს საღამოს 9 საათამდე სახლში მისწრების შიში, საყვარელი ძაღლის გასეირნების ვერმოსწრებაზე ნერვიულობა და მრავალი სხვა. შეზღუდვების ნაწილი ქორწილებსაც შეეხო. აღმოჩნდა, რომ ამ დღის აღნიშვნა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გარემოცვაში შეგვეძლო. პანდემიამ გვასწავლა, რომ არაა აუცილებელი ქორწილში შენი ბიძაშვილის მულის დეიდაც დაპატიჟო, შეგიძლია ეს დღე მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან „ვიწრო წრეში“ გაატარო, ისიამოვნო და ფულიც დაზოგო.

5. დაბადების დღე შეგვიძლია ზუმშიც აღვნიშნოთ

რას, რას და ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ დადგებოდა დრო, როდესაც დაბადების დღეს მეგობრებთან ერთად ვირტუალურად შევხვდებოდით, ტორტსაც ვირტუალურად ჩავაქრობდით და Happy Birthday-საც ამავე ფორმით მოვისმენდით. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს შეუძლებელი სულაც არ არის, პირიქით, ძალიან სახალისოა. თანაც, შეგიძლია სტუმრები „სახლში“ ღილაკზე თითის ერთი დაჭერით გაისტუმრო. დავრწმუნდით იმაშიც, რომ მანძილი დაბრკოლება არ არის და დისტანციური ურთირეთობები შესაძლებელია.

6. შენი მაგალითი სხვებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება

სამყაროში კორონავირუსის გამოჩენამ სხვებზე ზრუნვის მნიშვნელობა გვაჩვენა. მაშინ, როდესაც ქვეყანაში სრული პესიმიზმი იყო და ვაქცინაციის წინააღმდეგ დეზინფორმაციული პროპაგანდა მიმდინარეობდა, დავინახეთ, რამდენად პოზიტიური შედეგი შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მაგალითის გაზიარებას. კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებში გეგმიური ვაქცინაციისადმი მიმღებლობა არ განაპირობებს მიმღებლობას ახალ ვაქცინებზე და გავლენას ახდენს ისეთი სუბიექტური ნორმები, როგორიცაა მეგობართა და ოჯახის წევრთა დადებითად განწყობა ვაქცინაციის მიმართ. ამიტომ, როცა სოციალურ ქსელში უამრავი ადამიანი აცრისას გადაღებულ ფოტოს აქვეყნებდა და ანტივაქსერთა თეორიებს საკუთარ გამოცდილებას უპირისპირებდა, ამან სხვებს იმავეს გაკეთებისკენ უბიძგა – ასე დაინგრა ვაქცინაზე არსებული ბევრი მითი.

7. სახლში ყოფნა კარგია

ხანგრძლივმა იზოლაციამ და სახლში დარჩენის ვალდებულებამ დემოტივირებულები გაგვხადა, რადგან სხვადასხვა სოციალური აქტივობა ჩვენივე ოთახებში ყოფნამ ჩაანაცვლა. მიუხედავად ამისა, განმარტოებამ საკუთარ თავთან დაგვაახლოვა, ჩვენში ახალი უნარები და შესაძლებლობები აღმოგვაჩენინა. შეიძლება, აქამდე არ იცოდი, რომ კარგად ქსოვ, თურმე ხატვა შესანიშნავად გამოგდის და ვაიმე, რა სწრაფად კრეფ კლავიატურაზე. ალბათ, სახლში ყოფნის დროს იმ სერიალების ნახვაც მოახერხე, რომლის ყურებასაც დიდი ხანი გეგმავდი. დარწმუნებული ვართ, იმ წიგნების წაკითხვაც შეძელი, რომელსაც თავს დიდი ხნის წინ დაპირდი. შესაძლოა, იზოლაციამ ოჯახის წევრებთანაც გაგიმარტივა ურთიერთობა და აღმოგაჩენინა, რომ მათთან ყოფნა ძალიანაც საინტერესოა.

8. ხელები ხშირად უნდა დავიბანოთ

ჰიგიენის მინიმალური ნორმების დაცვა პანდემიის მიღმაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამაზე ვთანხმდებით. თუმცა, მოდი ვაღიაროთ, 2 წლის წინ ამას ყოველ ნახევარ საათში არ ვაკეთებდით და თან ფონად Happy Birthday-საც არ ვღიღნებდით ორჯერ, არც სადენზიფექციო ხსნარი იყო ჩვენი ახლო „მეგობარი“. პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხელების ხშირად დაბანა ჩვენი რუტინის განუყრელი ნაწილი უნდა იყოს და ამ გზით ვებრძოლოთ ბაქტერიებს, რომლებიც ჩვენი იმუნური სისტემის დამარცხებას ცდილობენ.

9. ცოტა ფული უნდა დავზოგოთ

გლობალური პანდემია ჩვენს ფინანსურ მდგომარეობასაც შეეხო. უამრავი ადამიანი სამსახურის, შესაბამისად, ხელფასის გარეშე დარჩა, გაუარესდა სოციალური მდგომარეობა. ეს მძიმე გაკვეთილი იყო, რომელმაც დაგვავანახა, რომ ფინანსების სწორად მართვა მნიშვნელოვანია, რადგან არ იცი, როდის დაგატყდება პანდემია თავს. იმედია, მსგავსი რამ აღარ მოხდება, თუმცა წინასწარ ფულის დაზოგვა მაინც არაა ცუდი აზრი.

10. საკუთარ თავზე ზრუნვა აუცილებელია

კვლევაში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდების უმრავლესობაში სიტყვა COVID-19 იწვევს ისეთ ასოციაციებს, როგორიცაა ქაოსი, კარანტინი, სიკვდილი, ჩაკეტილობა, სტრესი. საკვლევი პოპულაციის უმრავლესობა COVID-19-ს საშიშ, თუმცა მართვად ვირუსად მიიჩნევს და მათთვის ყველაზე მეტად ფსიქოლოგიურ საფრთხესთან ასოცირდება. ასეთი დამოკიდებულება, ძირითადად, უკავშირდება ვირუსის ამოუცნობ ბუნებას, არაპროგნოზირებად განვითარებასა და ახალი შტამების გამოჩენას. პანდემიით გამოწვეულმა უამრავმა პრობლემამ გვაჩვენა, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა აუცილებელია. ვისწავლეთ, რომ ყოველთვის უნდა ვიპოვოთ დრო საკუთარი თავისთვის, მოვიწესრიგოთ ძილის რეჟიმი და შევქმნათ გარემო, რომელშიც თავს კარგად ვგრძნობთ. შედეგად, ჩვენი მენტალური ჯანმრთელობა უფრო პრიორიტეტული გახდა.

გიორგი ხიზანიშვილი პარატაეკვონდოში ევროპის ჩემპიონია

საქართველოს პარატაეკვონდოს ნაკრებმა, მანჩესტერში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა წარმატებულად დაიწყო. ტურნირის პირველივე დღეს, დედოფლისწყაროელი, წარმოშობით არგოშიკელი, ჩვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობი და ახლოგელი გიორგი ხიზანიშვილი ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

მან ნახევარფინალში თურქ მოწინააღმდეგეს ასბალა მუჰამედს სძლია და კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს დამსახურებულად დაეუფლა.ასევე კარგად დაიწყო შეჯიბრზე გამოსვლა ანა ჯაფარიძემაც. მან მეოთხედფინლაში უზბეკ პარატაეკვონდოისტს, აზიის ჩემპიონს სძლია, მაგრამ ნახევარფინალში თურქ მოწინააღმდეგესთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. **„აღნიშნულ ტურნირზე ჩვენი ნაკრების ანგარიშზე უკვე ორი მაღალი სინჯის მედალია. ვულოცავთ გიორგი ხიზანიშვილს, მთავარ მწვრთნელს შოთა გოჩიაშვილს, მთელ გუნდს ამ გამარჯვებას.“** - აღნიშნულია საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის განცხადებაში.

გაზეთი „შირაქიც“ უერთდება მილოცვებს და საქართველოს პარატაეკვანდოს ნაკრებს უსურვებს მომავალ წარმატებულ ასპარეზობებს.

ახალი ტურისტული ობიექტი მირზაანში

სოფელ მირზაანში პირველი ტურისტული ობიექტი გაიხსნა. კოტეჯები „აწარმოე საქართველოში“ პროექტით და ევროკავშირის დაფინანსებით მოეწყო.

როგორც პროექტის ავტორმა, ადგილობრივმა, 21 წლის სტუდენტმა რატი ტოკლიკიშვილმა განაცხადა, თბილისიდან 1.5 სთ-ის სავალზე სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან ტურისტული ობიექტი 10 კოტეჯს, რესტორანსა და ვერანდას აერთიანებს. 13 ადამიანს ასაქმებს და ერთდროულად 30 ადამიანის მასპინძლობას შეძლებს.

ობიექტის მფლობელს ბოსტნეულისა და ხორცის ადგილობრივი წარმოებაც აქვს და დამსვენებლებს სწორედ ადგილზე წარმოებული ნატურალური პროდუქტით დამზადებულ კერძებს შესთავაზებს.

დამფუძნებელმა რატი ტოკლიკიშვილმა აღნიშნა, რომ ტურისტული ობიექტისთვის დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარზე მეტი მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, სადაც დამფუძნებლის პირადი ფინანსებაცაა.

გარდა ინდივიდუალური ჯავშნებისა, ადგილზე სხვადასხვა სახის ღონისძიებებიც მოეწყობა. რაც შეეხება განთავსების ღირებულებას, ფასი კოტეჯების ტიპზეა დამოკიდებული და ის 150-250 ლარამდე მერყეობს.

მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან. მოსწავლეებში ანალიტიკური, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ჭადრაკი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სავალდებულო საგნად ემატება.

„ჭადრაკი აუმჯობესებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს, როგორებიცაა: ყურადღება, კონცენტრირება, მეხსიერება, ანალიზი, ლოგიკა, გადაწყვეტილების მიღება, სივრცეში ორიენტირება და სხვა. ეს კი, პირდაპირ კავშირშია მათემატიკისა და სხვა საგნების სტანდარტებით განსაზღვრულ კომპეტენციებთან“, - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სკოლაში ჭადრაკის სწავლების დასანერგად სამინისტრო ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციასთან მოსამზადებელ სამუშაობს აწარმოებს „ მასწავლებლების ტრენინგების ორგანიზებისა და სასწავლო რესურსების მომზადების კუთხით“.

განათლების სამინისტროს ცნობით, სკოლებში ჭადრაკის სწავლება გათვალისწინებულია ევროკავშირის 2012 წლის დეკლარაციით, რომელიც საგანმანათლებლო სისტემებში ჭადრაკის სწავლების დანერგვას ითვალისწინებს.

ულოცავენ!

რუსუდან გონაშვილს!

ჩვენო რუსუდან, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს! მართლაც გამორჩეული ხარ, როგორც შვილი და როგორც პედაგოგი, რომელიც სხვის შვილებს საკუთარივით უვლის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მათ არა მარტო ქართული ლიტერატურა შეასწავლოს, არამედ საუკეთესო პიროვნებებად აღზარდოს. გვიყვარხარ და გვეამაყები!

მშობლები: გიორგი (გოგი), თამარი (ასმათი) გონაშვილები, ძმა ნოდარი, და ლალი, მამიდები: თინა, ლალი გონაშვილები, მამიდაშვილები: კახა, ირაკლი ნიკურაძეები, მაკა, ლევანი კვირიკაშვილები, დეიდაშვილები: იმედა, გოგიტა, ხატია წიკლაურები, ნატო, მამუკა ბოდაველები, ბიძა ვაჟა, ბიძაშვილები: თაკო, ქეთინო, ნინო, ბადური ღვინიაშვილები, ძმისშვილები: თამარი, გიორგი გონაშვილები და იუბილარის ყველაზე საყვარელი ვაჟკაცები დავით და დანიელ კიკვაძეები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მუნიციპალიტეტის მერია დაბადებიდან საიუბილეო 50 წელს ულოცავს მუნიციპალიტეტის მენტორ მასწავლებელს **რუსუდან გონაშვილს.** უსურვებს მას ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას!

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 23.05	სამშაბათი 24.05	ოთხშაბათი 25.05	ხუთშაბათი 26.05	პარასკევი 27.05	შაბათი 28.05	კვირა 29.05
დღე	24°	19°	15°	17°	20°	22°	24°
ღამე	10°	8°	8°	8°	9°	11°	12°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.